The European Union for Georgia

UNDP 50 YEARS
Empowered lives. Resilient nations.

1/1/2016

ჯონ უედემი

ადამიანის უფლებები ყველასათვის – ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და მონიტორინგის ხელშეწყობა

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ექსპერტი და პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის და გაეროს განვითარების პროგრამის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

სარჩევი

აბრევიატურების ჩამონათვალი 2

შესავალი 3

საკანონმდებლო ბაზა: კონვენციის 33-ე მუხლი 4

ზოგადი რეკომენდაციები კონვენციის 33.1 მუხლის განხორციელებასთან დაკავშირებით 5

ზოგადი რეკომენდაციების შეჯამება 8

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე მოქმედი საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში "საბჭო"), როგორც კონვენციის 33.1 მუხლით განსაზღვრული მექანიზმი 9

რეკომენდაციები კონვენციის 33.1 მუხლის განხორციელების თაობაზე 12

მექანიზმის პირველი მოდელი 13

მექანიზმის მეორე მოდელი 19

პირველ და მეორე მოდელს შორის განსხვავებულობის შეჯამება 21

აბრევიატურების ჩამონათვალი

CRPD	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია
DPO	ორგანიზაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
NHRSAP	ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა
PDO	საქართველოს სახალხო დამცველი
IACHR	ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭო
EU	ევროკავშირი
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა

შესავალი

"ადამიანის უფლებები ყველასათვის" ევროკავშირისა და გაეროს ოთხი სააგენტოს ერთობლივი ინიციატივაა, რომლის განხორციელებაში მონაწილეობენ: გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარიატი (OHCHR) და შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO). პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ ამ უკნანასკნელსა და საქართველოს შორის 2015 წლის მაისში გაფორმებული "ადამიანის უფლებები ყველასათვის" შეთანხმების საფუძველზე. შეთანხმება მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების დაცვის განმტკიცებას ევროკავშირი-საქართველოს შორის არსებული შეთანხმებებით განსაზღვრულ ისეთ პრიორიტეტულ სფეროებში, როგორიცაა უმცირესობების და მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვა, სამართალდამცავი უწყებების შიდა და გარე მონიტორინგი, შრომითი უფლებები, პირადი ცხოვრების დაცვა და ასევე, გამოხატვისაა და ინფორმაციის თავისუფლება.[1]

პროექტი მიზნად ისახავს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და მონიტორინგის მხარდაჭერას ევროკავშირ-საქართველოს შორის სხვადასხვა შეთანხმებების საფუძველზე განსაზღვრულ კონკრეტულ სფეროებში და აგრეთვე სამთავრობო ინსტიტუტების, ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციისა და იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტების შესაძლებლობის გაძლერებას, რათა ამ უწყებებმა შეძლონ საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების შემდგომი დახვეწა.

პროექტის ამოცანაა შესაძლებლობის ზრდის ხელშეწყობა სამთავრობო ინსტიტუტების, შესაბამისი მექანიზმებისა და საპარლამენტო კომიტეტების (ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, აგრეთვე იურიდიულ საკითხთა კომიტეტები) უფრო ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის და აგრეთვე, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის განხორციელების უზრუნველყოფა ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულებებით განსაზღვრულ სფეროებში.

პროექტის ერთ-ერთი ამოცანაა მხარდაჭერა გაუწიოს უწყებათაშორის საბჭოსა და მის სამდივნოს ადამიანის უფლებათა საკითხებში საქართველოს სამთავრობო სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში. სამოქმედო გეგმის 19.1.2 ამოცანა გულისხმობს "ეფექტიანი მექანიზმების შექმნას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის (შემდგომში "კონვენცია") განხორციელებისა და კოორდინაციისთვის".

---

[1] დეტალური ინფორმაციისთვის მიჰყევით შემდეგ ბმულს:
http://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/operations/projects/democratic_governance/human-rights-for-all/
(ბოლოს ნანახია 2016 წლის 29 ნოემბერს).

2014 წელს საქართველომ მოახდინა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის (CRPD) რატიფიცირება, ხოლო საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით შეიქმნა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში "საბჭო"), როგორც კონვენციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყება ამავე კონვენციის 33.1 მუხლის შესაბამისად.

საბჭო ჩამოყალიბდა 2009 წელს "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრაციის კონცეფციის" საფუძველზე. საბჭო პასუხისმგებელია 2014-2016 წლის შეზღუდული შესაძლებლობების პირებისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სამთავრობო სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინაციაზე. ადამიანის უფლებების ეროვნული სამდივნო ასევე ასრულებს საბჭოს სამდივნოს ფუნქციასაც.

თუმცა, რადგან საბჭო თავდაპირველად ჩამოყალიბდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრაციის კონცეფციის განხორციელების მაკოორდინირებელ ორგანოდ, რომლის გადახედვა ან რეორგანიზაცია არ მომხდარა კონვენციის რატიფიკაციის პერიოდიდან მოყოლებული, საჭიროა მისი, როგორც კონვენციის 33.1 მუხლის განხორციელებისა და კოორდინაციის მექანიზმზე პასუხისმგებელი "ძირითადი საკონტაქტო უწყების" შესაბამისობის გადახედვა. ამ შეფასებას ეთანხმება როგორც საქართველოს მთავრობა, ასევე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

ევროკავშირისა და გაეროს ერთობლივი პროგრამა საქართველოსთვის კონვენციის განხორციელებისა და მონიტორინგისთვის საჭირო ეფექტიანი ეროვნული მექანიზმების ჩამოყალიბებაში მხარდაჭერას ითვალისწინებს. ამ მიზნით, შემუშავდა რეკომენდაციები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების დაცვის საკოორდინაციო საბჭოს რეორგანიზაციისა და ამ მექანიზმის კონვენციის 33.1 მუხლის პირობებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

საკანონმდებლო ბაზა: კონვენციის 33-ე მუხლი

კონვენციის 33-ე მუხლი "განხორციელება და მონიტორინგი ეროვნულ დონეზე, გულისხმობს, რომ

> *1.* მონაწილე სახელმწიფოები, მათი მმართველობის სისტემის შესაბამისად, სახელმწიფო ადმინისტრაციის შიგნით ასახელებენ **ერთ ან რამოდენიმე საკონტაქტო უწყებას, რომელიც კურირებას გაუწევს წინამდებარე კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს**; სათანადო დონეზე შეისწავლიან ხელისუფლებაში სხვადასხვა სექტორებსა და დონეზე შესაბამისი აქტივობის ხელისშემწყობი **მაკოორდინირებელი მექანიზმის** შექმნისა და დასახელების შესაძლებლობას.

2. მონაწილე სახელმწიფოები … ქვეყნის შიგნით ინარჩუნებენ, აძლიერებენ, ასახელებენ ან აყალიბებენ წინამდებარე კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და განხორციელების მონიტორინგისათვის აუცილებელ ერთ, ან რამოდენიმე დამოუკიდებელ მექანიზმს

3. სამოქალაქო საზოგადოება, კერძოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციები, სრულად უნდა ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ მონიტორინგის პროცესში.[2]

გარდა ამისა, კონვენციის მე-4 მუხლის მიხედვით:

კანონმდებლობისა და წინამდებარე კონვენციის განხორციელების სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მონაწილე სახელმწიფოები მჭიდროდ ითანამშრომლებენ და აქტიურად ჩართავენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების საშუალებით.

ზოგადი რეკომენდაციები კონვენციის 33.1 მუხლის განხორციელებასთან დაკავშირებით

გარიყულობიდან თანასწორობამდე: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზაცია. სახელმძღვანელო პარლამენტის წევრებისთვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვის კონვენციისა და მისი არჩევითი პროტოკოლის შესახებ, ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი:

ძირითადი კონტაქტის ფუნქცია შეიძლება დაეკისროს პირს ან განყოფილებას, რომელიც წარმოადგენს სამინისტროს ან სამინისტროთა გაერთიანებას, ასევე რომელიმე ინსტიტუტს, მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის პირთა უფლებების კომისიას, ან რომელიმე სამინისტროს, მაგალითად, ადამიანის უფლებების დაცვის სამინისტროს ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სამინისტროს, ან სამივე ვარიანტის კომბინაციას. მაშინაც კი, როდესაც ეს უწყებები ან მექანიზმები უკვე ჩამოყალიბებულია, საჭიროა მათი გადახედვა კონვენციის განხორციელების მონიტორინგის მიზნითა და ადგილობრივ, რეგიონალურ და ეროვნულ/ფედერალურ დონეებზე არსებული სხვადასხვა სექტორების ძალისხმევის კოორდინაციის უზრუნველსაყოფად.

მისთვის მინიჭებული ფორმის მიუხედავად, ძირითადი საკონტაქტო უწყება ან პირი არ უნდა მოქმედებდეს განცალკევებით, არამედ მან უნდა შეასრულოს

[2] კონვენციის სრული ტექსტი იხილეთ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289 (ბოლოს ნანახია 2016 წლის 29 ნოემბერს)

> წამყვანი როლი კონვენციის განხორციელების კოორდინაციაში. იგი აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი ადამიანური და ფინანსური რესურსებით, ხოლო მისი ფუნქციონირება უნდა იყოს განსაზღვრული საკანონმდებლო, ადმინისტრაციული ან სხვა იურდიული ზომებით, იყოს დანიშნული განუსაზღვრელი ვადით და ფუნქციონირებდეს მთავრობის რაც შეიძლება მაღალ დონეზე.[3]

ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ ჩატარებული - გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის 33-ე მუხლის განხორციელება ევროპაში - კვლევის მიხედვით

> ძირითადი საკონტაქტო უწყებები ან პირები შიდა საჯარო ადმინისტრაციის კომპეტენციას წარმოადგენენ. მათი დანიშვნის მიზანია იმ სამთავრობო განყოფილების არჩევა, რომელიც გაუძღვება კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს. შესაბამისად, ძირითადი საკონტაქტო უწყებები უნდა ფლობდნენ საჭირო რესურსებს ამ ფუნქციის განხორციელებისთვის და მათზე ხელი უნდა მიუწევდებოდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. მონაწილე სახელმწიფოებს ასევე შეუძლიათ დანიშნონ რამდენიმე საკონტაქტო უწყება ან ქვე-უწყებები.
>
> **საკოორდინაციო მექანიზმების მიზნია უფრო ეფექტიანი გახადოს თანამშრომლობა სამინისტროებს შორის და ხელი შეუშალოს გადაწყვეტილებების მიმღებების მიერ იზოლირებული და ცალკეული გადაწყვეტილებების მიღებას. თუმცა, საკოორდინაციო მექანიზმის ჩამოყალიბება ან დასახელება, არ წარმოადგენს კანონით დაკისრებულ ვალდებულებას და ის ნებაყოფლობითი ხასიათისაა.**
>
> ევროკავშირის ყველა იმ ქვეყანაში, სადაც კონვენცია რატიფიცირებულია, ძირითადი კონტაქტის ფუნქციას ის მინისტრები ასრულებენ, რომელთა უწყებები პასუხისმგებლები არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების მოგვარებაზე. თითქმის ყოველთვის ეს საკითხები სოციალურ საკითხთა სამინისტორების ან იმ ფართო პროფილის სამინისტროების კომპენტენციას წარმოადგენს, რომელთა კომპეტენციაში ასევე შედის სოციალური საკითხების გადაჭრა. თუმცა, ეს გასაკვირი არცაა: სამინისტროებისთვის ამ ფუნქციის დაკისრება თითქმის ყოველთვის მათ მიერ უკვე ნაკისრი ფუნქციების დადასტურებას გულისხმობს იმ განსხვავებით, რომ ახლა მათ მანდატს უკვე ადამიანის უფლებების დაცვის კომპონენტიც ემატება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ძირითადი ცვლილება გულისხმობს იმას, რომ ახლა სამინისტროების ძირითად საზრუნავს კონვენციის განხორციელება წარმოადგენს. რადგან ყველა ძირითდი კონტაქტი უკვე

[3] http://www.ohchr.org/Documents/Publications/training14en.pdf (ბოლოს ნანახია 2016 წლის 29 ნოემბერს)

დასახელებულია და ისინი უკვე შეუდგნენ მათი ვალდებულების შესრულებას, მომდევნო წლებში შესაძლებელი იქნება მათი მუშაობის შედეგის შეფასებაც. [4]

შეზღუდული ფსიქიკური შესაძლებლობის ცენტრი (MDAC):

კონვენციის 33(1) მუხლის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, ცენტრმა შეიმუშავა საკონტაქტო უწყებების ფუნქციების შემდეგი ჩამონათვალი:

- მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის კონვენციის განხორციელების პროცესში ძირითადი კონტაქტის ფუნქციის შესრულება;
- სამთავრობო უწყებებში კონვენციის მიზნებისა და ფასეულობების პოპულარიზაცია;
- სამთავრობო უწყებებს შორის კოორდინაციის უზრუნველყოფა;
- სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა;
- საწყისი ანალიზის განხორციელება კონვენციის რატიფიკაციის დროისთვის;
- კონვენციის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის გამოქვეყნება;
- შესაბამისი ინფორმაციისა და სტატისტიკური მონაცემების თავმოყრა, და
- ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნულ და საერთაშორისო მექანიზმებს შორის კავშირის უზრუნველყოფა. [5]

შეზღუდული შესაძლებლობების საკითხებზე საერთაშორისო ალიანსის რეკომენდაციით, "საკონტაქტო უწყება/პირი უნდა ფუნქციონირებდეს აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს დონეზე".[6]

კონვენცია, როგორც ეროვნული კანონმდებლობის რეფორმის მამოძრავებელი ძალა, პროფესორი ჯერარდ ქუინი:

33-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაკუთრებულია იმ მხრივ, რომ იგი კონკრეტულად განმარტავს, თუ როგორ უნდა წარიმართოს განხორციელების პროცესი ეროვნულ დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ დებულება გარკვეულ თავისუფლებას აძლევს სახელმწიფოებს იმისათვის, რათა გათვალისწინებულ იქნეს ის მრავალფეროვნება, რომელიც მართვის რეჟიმებს შორის შეიძლება არსებობდეს, იგი კონკრეტულად ავალებს მონაწილე სახელმწიფოებს 'დაასახელონ ერთი ან მეტი საკონტაქტო უწყება' სამთავრობო სტრუქტურებს შორის კონვენციის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

ეს ვალდებულება წარმოადგენს კონკრეტულ ნაბიჯს გამოასწოროს ყველა სისტემაში არსებული ტენდენცია, რომელიც გულისხმობს, რომ შეზღუდულ შესაძლებლობებთან

[4] http://europe.ohchr.org/Documents/Publications/Art_33_CRPD_study.pdf (ბოლოს ნანახია 2016 წლის 29 ნოემბერს).
[5] http://www.mdac.org/en/building_the_architecture_for_change_guidelines_on_article_33_of_the_un_convention_on_the_rights_of_people_with_disabilities (ბოლოს ნანახია 2016 წლის 29 ნოემბერს).
[6] http://www.internationaldisabilityalliance.org/en (ბოლოს ნანახია 2016 წლის 29 ნოემბერს).

დაკავშირებული საკითხები ზოგად კომპენტენციას წარმოადგენს მთელ რიგ სამთავრობო უწყებებში მაკოორდინირებელი მექანიზმის გარეშე. ამ სიტუაციის შედეგად ხშირად ჩნდება კონფლიქტური სიტუაციები, ხოლო პოლიტიკა ბუნდოვანია და არათანმიმდევრული.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ფრაზა 'ერთი ან რამდენიმე საკონტაქტო უწყება' ეხება ფედერალური მოწყობის ქვეყნებს და არ გულისხმობს შესაბამის დონეზე ძირითადი უფლებამოსილი უწყების დასახელებაზე უარის თქმას. [7]

არსებული მასალის ანალიზის მიხედვით ძირითადი საკონტაქტო უწყებები:

არ უნდა მოქმედებდნენ განცალკევებით, არამედ ასრულებდნენ წამყვან როლს კოორდინაციის პროცესში;

- უნდა გააჩნდეთ შესაბამისი ადამიანური და ფინანსური რესურსები;
- უნდა ოპერირებდნენ შეძლებისდაგვარად უმაღლეს სამთავრობო დონეზე და აერთიანებდნენ საკვანძო სამინისტროების იმ წარმომადგენლებს, რომლებსაც შეუძლიათ შესაბამისი ამოცანების შესრულება;
- უნდა იყვნენ ოფიციალურად დასახელებული ძირითად საკონტაქტო უწყებებად კონვენციის 33.1 მუხლის მიხედვით;
- **უნდა იყვნენ დამოუკიდებლები საკუთარი სამინისტროებისგან;**
- იღებდნენ ზომებს ცნობიერების ასამაღლებლად სამთავრობო უწყებებში და მათ ფარგლებს გარეთ;
- იღებდნენ მონაწილეობას სამოქმედო გეგმის შემუშავებაში;
- დააკვირდნენ განხორციელების პროცესს და შეიმუშაონ შესაბამისი ანგარიშები და
- შეასრულონ ერთგვარი მეკავშირის ფუნქციას სამოქალაქო საზოგადოებასა და სამთავრობო/საჯარო უწყებებს შორის.

ზოგადი რეკომენდაციების შეჯამება

საკონტაქტო უწყება უნდა არსებობდეს მთავრობის შიგნით:

- შეიძლება იყოს განყოფილება ან პირი სამინისტროში ან სამინისტროების დაჯგუფებაში;
- ფუნქციონირებდეს ადამიანის უფლებათა დაცვის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების სამინისტროში;
- ხელმძღვანელობდეს მნიშვნელოვანი მინისტრი, რომელსაც დახმარებას გაუწევს შესაბამისი პერსონალი;
- შესაძლებელია შესდგებოდეს ყველა საკვანძო სამინისტროს ძირითადი საკონტაქტო პირებისგან, რომლებიც მუშაობენ კოორდინირებულად;

[7] http://www.nuigalway.ie/cdlp/staff/gerard_quinn.html (last accessed at November 29, 2016).

- შესაძლებელია ქონდეს ორმაგი სტრუქტურა, სადაც მაღალი დონის მინისტრები ათანხმებენ და ინაწილებენ ფუნქციებს და ასევე, რეგულარულად ხვდებიან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს;
- უნდა იყოს ღია და გამჭვირვალე სტრუქტურა და აქვეყნებდეს შეხვედრების ოქმებსა და სხვა შესაბამის დოკუმენტებს.

რაც შეეხება სამოქალაქო საზოგადოებასა და საკონტაქტო უწყებებს, საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები იმისათვის, რომ

- უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფოს ანგარიშვალდებულება კონვენციით გათვალისწინებული უფლებების შესრულებაზე (ან ვერ შესრულებაზე);
- სამოქალაქო საზოგადოებას და არასამთავრობო/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს მიენიჭოს მნიშვნელოვანი როლი კონვენციის 4.3 მუხლის დებულების - " არაფერი ჩვენს შესახებ ჩვენს გარეშე" - შესაბამისად;
- დაცული იქნეს სწორი ბალანსი სახელმწიფოს ისეთ მოვალეობებს შორის, როგორიცაა კონვენციის განხორციელება და გადაწყვეტილების მიღება რესურსების განაწილებასთან დაკავშირებით, როგორ უნდა განხორციელდეს უფლებები და რა ფორმით უნდა მოხდეს ანგარიშგება სამოქალაქო საზოგადოების წინაშე;
- ნათლად განისაზღვროს არასამთავრობო/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების როლი და მათი დაფინანსების მექანიზმი, და შემუშავდეს იმ პოტენციური კონფლიქტების მოგვარების გზები, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას სერვისებით უზრუნველყოფის პროცესში და აგრეთვე, უზრუნველყოს როგორც მცირე, ასევე მსხვილი არასამთავრობო/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების ჩართულობა ყველა დონეზე; და
- გამოიძებნოს სახალხო დამცველის აპარატსა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შორის კომუნიკაციისა და კონსულტაციის ალტერნატიული ფორმები, რადგან, როგორც ცნობილია, ამ კატეგორიაში შემავალი ადამიანების უმეტესობას არც თუ ისე ხშირი კონტაქტი ექნებათ არასამთავრობო/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე მოქმედი საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში "საბჭო"), როგორც კონვენციის 33.1 მუხლით განსაზღვრული მექანიზმი

საქართველოში 33.1 მუხლისადმი შესაბამისი მიდგომების განხილვის მიზნით, ანგარიშის ავტორი შეხვდა რამდენიმე უწყებას და პირს, რომლებსაც მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრიათ. მათ შორის:

- საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის თანამშრომლებს
- ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის თანამშრომლებს
- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს
- ადამიანის უფლებებათა სამდივნოს
- არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დაცველის და წარმომადგენლებს

გარდა ამისა, ავტორი დაესწრო თბილისში 2016 წლის 14 ივნისს გამართულ კონფერენციას თემაზე "გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის პირთა უფლებების დაცვის კონვენცია: ორი წელი რატიფიკაციიდან", გაეცნო ძირითადი მომხსენებლების მიერ წარმოდგენილ მოხსენებებს და მონაწილეობა მიიღო სამუშაო შეხვედრებში.

საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიშში ნათქვამია, რომ

"საბჭოს შემადგენლობა, ფუნქციები და საქმიანობის რეჟიმი ფორმალურადაც კი ნაკლებად შეესაბამება კონვენციის 33-ე მუხლით იმპლემენტაციის ორგანოსთვის დადგენილ მოთხოვნებსა და წევრი სახელმწიფოების მე-7 კონფერენციაზე მიღწეულ შეთანხმებას. მით უფრო, პრაქტიკაში საბჭო ვერ ასრულებს მისთვის დაკისრებულ მოვალეობას და დებულებით დადგენილი ვალდებულების მიუხედავად, 2015 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ შეიკრიბა".

სიტუაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის იმპლემენტაციის ორგანო პრაქტიკულად არ ფუნქციონირებს, შესაბამისად, კონვენციის დანერგვის პროცესი მნიშვნელოვანი შეფერხებით ხორციელდება. აუცილებელია, რომ მთავრობამ სწორად განსაზღვროს კონვენციის განხორციელებისთვის შესაბამისი ინსტიტუციური ჩარჩო, მოახდინოს იმპლემენტაციისა და კოორდინაციის ორგანოებს შორის ფუნქციების გადანაწიების რევიზია და მექანიზმების რეალურად ამოქმედება."[8]

საქართველოში ამჟამად არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით, ასევე გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

- მეტისმეტად მომრავლებული საბჭოები, შეხვედრები და მექანიზმები ხშირად იწვევდნენ დაბნეულობას და ფუნქციების დუბლირებას, რაც ხელს უშლიდა მთავრობას სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში კონვენციის პირობების განხორციელებისა და პრიორიტეტების შესახებ. გარდა ამისა, ამგვარი სიტუაცია ხელს არ უწყობდა მთავრობის ანგარიშვალდებულებას.
- არასამთავრობო ორგანიზაციები/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები, როგორც საბჭოს ხმის მიცემის უფლების

[8] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები საქართველოში. ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3728.pdf (ბოლოს ნანახია 2016 წლის 29 ნოემბერს)

მქონე წევრები იღებენ პასუხისმგებლობას ისეთ გადაწყვეტილებებზე, რაც წევრი სახელმწიფოს პასუხისმგებლობა უნდა იყოს. შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესების დამცველი ორგანიზაციები რეალურად იღებენ გადაწყვეტილებას რესურსების განაწილების შესახებ და სახსრების სიმწირის პირობებში ხშირად მათ გარეშე ტოვებენ სხვებს. მიუღებელია, რომ ამგვარი ორგანიზაციები იღებდნენ იმგვარი გადაწყვეტილების მიღების ტვირთს, რომელიც არ აძლევს საშუალებას ადამიანების გარკვეულ კატეგორიას ისარგებლონ მათთვის მინიჭებული უფლებებით.

- მექანიზმის, რომელიც საქართველოში მოქმედებს უნიკალურია, რადგან არც ერთ სხვა ქვეყანაში არ ხდება ის, რომ ძირითად საკონტაქტო მექანიზმში, რომელიც შექმნილია 33.1 მუხლის დებულების მიხედვით, გადაწყვეტილებას რესურსების განაწილების შესახებ იღებს არა წევრი სახელმწიფო, არამედ არასამთავრობო და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები.
- საბჭოს სხდომებზე გამართული მსჯელობების დროს ნაკლებად ხდებოდა ყურადღების გამახვილება სტრატეგიულ განხორციელებაზე ან სისტემურ დარღვევებზე და ძირითადი აქცენტი ხშირად კეთდებოდა ინდივიდუალ შემთხვევებსა და მათ საჭიროებებზე, სერვისის მიწოდების ხარვეზებსა და იმ პრობლემებზე, რომლებიც ეხებოდა არასამთავრობო და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებისთვის კონტრაქტების გაფორმებაზე ან გრანტების გამოყოფაზე
- პრემიერ მინისტრის მიერ თითოეული შეხვედრის თავმჯდომარეობის მოთხოვნა ზღუდავდა ეფექტიანი შეხვედრების რაოდენობას ყოველ წელს და ხელს უწყობდა არაფორმალურ მსჯელობებსა და გადაწყვეტილების მიღებას საჯარო მოხელეებსა და სხვადასხვა სამინისტროებს შორის, რაც, თავის მხრივ, აქვეითებდა შედეგიანობის ხარისხს, ნაკლებად გამჭვირვალეს ხდიდა გადაწყვეტილების მიღების პროცესს და ხელს უშლიდა შესაბამის კომუნიკაციასა და პირდაპირ კონსულტაციებს ფართო საზოგადოებასთან.
- საბჭოს საქმიანობისა და განხილვების ძირითადი თემატიკა იწვევდა დაბნეულობას კერძო პირების, აგრეთვე არასამთავრობო და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების კონკრეტულ და უშუალო ინტერესებსა და საქართველოში მაცხოვრებელ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესებს შორის.
- ამგვარმა გარემოებებმა ხელი შეუწყო არასამთავრობო და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების ორი კატეგორიის ჩამოყალიბებას. პირველ კატეგორიაში შემავალ ორგანიზაციებს გააჩნდათ გავლენა და საკმარისი რესურსები, ხოლო მეორე კატეგორიაში შემავალი ორგანიზაციები, რომლებსაც არ გააჩნდათ შესაბამისი გავლენა, როგორც სჩანს, გამოთიშულები იყვნენ პროცესებიდან;
- ზემოთ აღწერილი აქცენტის გამო, ვერ მოხერხდა ინტერესთა შორის კონფლიქტის ნათლად წარმოჩენა

რეკომენდაციები კონვენციის 33.1 მუხლის განხორციელების თაობაზე

გადაწყდა, რომ შემუშავებულიყო ეროვნული მექანიზმის ორი მოდელი. თუმცა, ორი სხვადასხვა და ერთნაირად ეფექტიანი და შედეგიანი მოდელის შეთავაზება თითქმის გადაუჭრელი ამოცანა აღმოჩნდა.

კონვენციით გათვალისწინებული უფლებების რეალიზაციაზე პასუხისმგებელი სახელმწიფოა. ორივე ვარიანტი ქმნის ერთ მექანიზმს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება როგორც კოორდინაციაზე, ასევე განხორციელებაზე. შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღება იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს კონვენციით გათვალისწინებული უფლებების რეალიზაცია, მთავრობის კომპეტენციაში უნდა შედიოდეს. **არც ერთ ქვეყანას არ შესწევს ძალა დაუყოვნებლივ და სრულად განახორციელოს კონვენციით მინიჭებული უფლებები.** ეს განსაკუთრებით ეხება პატარა ქვეყნებს, რომლებსაც არ გააჩნიათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის შესაბამისი დახმარების გაწევის ხანგრძლივი გამოცდილება, ან მწირი რესურსების გამო სახელმწიფო და საჯარო მოხელეებს მძიმე გადაწყვეტილებების მიღება უწევთ. საჭიროა კონსულტაციების გამართვა არასამთავრობო და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან, სანამ მიღებული იქნება სტრატეგიული და პოლიტიკური გადაწყვეტილებები. კონსულტაციები ასევე გულისხმობს ინფორმაციის მიწოდებას იმის თაობაზე, თუ რომელ სამთავრობო უწყებებში ხდება გადაწყვეტიილების მიღება და ვის აკისრია პასუხისმგებლობა განხორციელებაზე.

შემოთავაზებულია, რომ გაუქმდეს მოქმედი საბჭო და მის ნაცვლად შეიქმნას ახალი მექანიზმი. ასევე, რეკომენდებულია, რომ ეს ახალი მექანიზმი იყოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საბჭოს სამუშაო ჯგუფი.

აღსანიშნავია, რომ 33.1 მუხლი კოორდინაციას ეხება და მისი მიზანია უზრუნველყოს რომ ყველა სამინისტრო იღებს პასუხისმგებლობას იმპლემენტაციაზე და აგრეთვე ის, რომ სამინისტროების ქმედებებს კოორდინაციას უწევდეს და უძღვებოდეს ძირითადი საკონტაქტო უწყება. ძირითადი საკონტაქტო უწყება ასევე საჭიროებს შესაბამის კადრს. თუმცა, თუ მას მიიჩნევენ განხორციელებაზე პასუხისმგებელ უწყებად, კონვენცია ვერ ინტეგრირდება სამთავრობო სტრუქტურებში, რაც უმნიშვნელოვანესია კონვენციით განსაზღვრული უფლებების განხორციელებისთვის.

მექანიზმის პირველი მოდელი [9]

მანდატი: კონვენციის, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი კომპონენტის განხორციელება საქართველოში, უნარშეზღუდულობისა და საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ მონაცემთა ბაზების შექმნა და ინფორმაციის შეგროვება (მათ შორის რეგიონებისა და უნარშეზღუდულობის ტიპის მიხედვით სეგრეგირებული ინფორმაცია), საჯარო სექტორის უწყებებსა და მუნიციპალურ ხელისფულებას შორის აქტივობების კოორდინაცია იმისათვის, რათა ყველა სექტორში მიღებულ იქნას შესაბამისი ზომები, განხორციელებისთვის პრიორიტეტის მინიჭების უზრუნველყოფა საქართველოს ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე, რათა დაცული იქნეს კონვენციით მინიჭებული უფლებები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ინტეგრირება მთელს საჯარო სექტორში და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების შესახებ ცნობიერების ამაღლება, მთავრობის პოლიტიკისა და კანონმდებლობის მონიტორინგი კონვენციის განხორციელებისთვის ხელსაყრელი გარემოებებისა და რისკების განსაზღვრისთვის, ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნულ სტრატეგიაში კონვენციასთან დაკავშირებული ნაწილის შემუშავება, და ანგარიშების მომზადება გარკვეული პერიოდულობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის კომისიისთვის. [10]

საჯარო სექტორის პასუხისმგებლობა: ყველა და თითოეული სახელმწიფო უწყება პასუხისმგებელია კონვენციის სწორად და ეფექტიანად განხორციელებაზე შესაბამის სექტორში. გარდა ამისა, მათ აკისრიათ ვალდებულება საკუთარი წვლილი შეიტანონ ძირითადი საკონტაქტო ფუნქციის მექანიზმის ფუნქციონირებაში. მაგრამ, მექანიზმი

---

[9] იგულისხმება ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინაციის მექანიზმი, რომელიც ამ დოკუმენტში 'მექანიზმად' მოიხსენიება. კიდევ ერთი შესაძლო დასახელება შეიძლება იყოს **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის განმახორციელებელი უწყებათაშორისი კომისია'.**

[10] მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ *გარიყულობიდან თანასწორობამდე: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვა. სახელმძღვანელო პარლამენტის წევრებისთვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციისა და მისი პროტოკოლის შესახებ, გვ 95.* ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარიატი

ვერასდროს ჩაანაცვლებს სამინისტროებისა და მუნიციპალიტეტების პასუხისმგებლობას, არამედ იგი უზრუნველყოფს ამოცანების განსაზღვრასა და ვადების შემუშავებას საჯარო სექტორის უწყებებისათვის. პოლიტიკის ანალიზსა და შემუშავებაზე და აგრეთვე კონვენციის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა კვლავინდებურად დაეკისრება თითოეულ განყოფილებაში მომუშავე ექსპერტებს. გარდა ამისა, მექანიზმის არსებობა არ ნიშნავს იმას, რომ საჯარო სექტორის უწყებებს აღარ მოუწევთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ეფექტიანი კონსულტაციების გამართვა.

ადგილობრივი პასუხისმგებლობა და მუნიციპალიტეტები: საჭიროა, რომ მექანიზმმა შეძლოს ეფექტიანი თანამშრომლობის დამყარება ადგილობრივ საჯარო სერვისებსა და მუნიციპალიტეტებთან, რათა უზრუნველყოფილი იქნას კონვენციის განხორციელება ადგილობრივ და რეგიონალურ დონეებზე და სოფლად. საჭიროა შემუშავდეს მოდელები და ის მოდალობები, რომლებიც ხელს შეუწყობს იმგვარი მაკოორდინირებელი მექანიზმის ჩამოყალიბებას, რომლის ფუნქციონირებასაც ეროვნულ დონეზე დაეხმარება მსგავსი სისტემების მუშაობა ადგილობრივ დონეზე. გარდა ამისა, ასევე აუცილებელია არასამთავრობო/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების ჩართულობა განხორციელების პროცესში.

მექანიზმის შემადგენლობა

წევრობა: მაღალი დონის საჯარო მოხელეები ყველა წამყვანი სამინისტროდან/სააგენტოდან, რომლებსაც აკისრიათ როლი კონვენციის განხორციელების პროცესში:

- პრემიერ მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში;
- შრომის, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამინისტრო;
- რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- ფინანსთა სამინისტრო;
- კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- იუსტიციის სამინისტრო;
- სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო;
- შინაგან საქმეთა საინისტრო;
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო;
- საგარეო საქმეთა სამინისტრო, და
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

მოწვეული მონაწილეები: შემდეგი უწყებების/კომიტეტების თავმჯდომარეები ან თავმჯდომარის მოადგილეები: საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებებისა და

სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი; იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტი, საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი; საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, საქართველოს სახალხო დამცველი.

თავმჯდომარე: მინისტრის პირველი მოადგილე, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამინისტრო;

თანათავმჯდომარე: იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ან ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე

გადაწყვეტილებები: მიიღება საჯარო მოხელეების მიერ შეხვედრებზე, რომლებსაც წინ უძღვის ღია და გამჭვირვალე კონსულტაციები

შეხვედრების სიხშირე: სულ მცირე სამჯერ წლის განმავლობაში არასამთავრობო/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან, საქართველოში ადამიანის უფლებებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებთან, პრემიერ მინისტრი მოწვეული იქნება ყველა შეხვედრაზე. რაც შეეხება შეხვედრებს, მათ საჯარო ხასიათი ექნება. თავმჯდომარეს აქვს უფლება მოიწვიოს დამატებითი სპეციალური შეხვედრა საჭიროების შემთხვევაში. ასევე, თითოეულ წევრსაც აქვს უფლება მოითხოვოს დამატებითი შეხვედრის დანიშვნა.

- ერთი საჯარო შეხვედრა გაიმართება იანვარში, სადაც განხილული იქნება კონვენციის განხორციელების პროგრესი განვლილი წლის განმავლობაში და მომავალი წლისთვის მთავრობის მიერ წარდგენილი წლიური გეგმის განხორციელების საკითხები;
- მეორე საჯარო შეხვედრაზე განხილული იქნება სახალხო დამცველის ოფისის მიერ მონიტორინგსა და საჩივრების განხილვის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები (მუხლი 33.2);
- რეგულარული კერძო შეხვედრები, რომლებსაც დაესწრება პრემიერ მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა მინისტრი ან მისი მოადგილე, საკვანძო სამინისტროების წარმომადგენლები გაიმართება ყოველ ორ თვეში ერთხელ. ამგვარი შეხვედრების მიზანია უზრუნველყოს წლიური სამოქმედო გეგმის განხორციელების სწორად წარმართვა; [11]

[11] კონვენციის განხორციელებას ადგილობრივ დონეზე და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. არსებობს ამ პროცესების ხელშეწყობის რამდენიმე საშუალება: (1) კანონპროექტის შემუშავება უწყებათაშორისი კომისიის მიერ, რომელის მიღების შემთხვევაში

- ასევე შესაძლებელია სამუშაო ჯგუფების შექმნა საჯარო მოხელეებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით, სადაც მონაწილეები იმსჯელებენ განხორციელების დეტალებზე, პრაქტიკულ და თემატურ საკითხებზე (თუმცა, არა ინდივიდუალურ საქმეებზე). სამუშაო ჯგუფებს შესაძლებელია დაევალოს ინფორმაციის მიწოდება ძირითადი შეხვედრების მონაწილეებისთვის. ასევე შესაძლებელია, რომ ამგვარმა ჯგუფება შეასრულონ ერთგვარი საკომუნიკაციო არხის ფუნქცია ადგილობრივ თემებთან მიმართებაში, მიიტანონ პრობლემები მთავრობამდე და დაიწყონ მათი მოგვარების პროცესი.

  სამუშაო ჯგუფის ფორმატის შემუშავებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნას როგორც სამინისტროების, ასევე არასამთავრობო და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების შესაბამისი წარმომადგენლობა. ფორმატი უნდა იყოს საკონსულტაციო ხასიათის, თუმცა, საჭიროა ყურადღების გამახვილება განხორციელებასა და მის კავშირზე მთლიან პროცესთან. საჭიროა ამგვარი სამუშაო ჯგუფების მანდატის წინასწარ და დეტალურად განსაზღვრა.

გამჭვირვალეობა: არსებობს სამი სხვადასხვა მნიშვნელოვანი მექანიზმი, რომლებიც ხელს შეუწყობენ გამჭვირვალეობასა და მონაწილეობას: (1) შეხვედრებზე პირადად დასწრება და განხილვების მოსმენა, (2) წერილობითი წარდგინება საშუალებას იძლევა დეტალური პასუხი გაეცეს მთავრობის შემოთავაზებებს და ამ გზით ხელი შეეწყობა დეტალური ალტერნატივების შეთავაზებასაც, ასევე ეფექტიან კომუნიკაციას, (3) შეხვედრებზე მოხსენებების გაკეთება (სიტყვით გამოსვლა) ხელს უწყობს ინტერაქციას და სტიმულს აძლევს მთავრობას გასცეს პასუხები დასმულ შეკითხვებს.

- კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებით მიღებული ყველა სტრატეგიული ან უმაღლეს დონეზე მიღებული გადაწყვეტილება მიიღება მექანიზმის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე. იმ შემთხვევაში თუ ამგვარი გადაწყვეტილება მიიღება მექანიზმის შეხვედრების მიღმა, მათზე ინფორმაცია მიეწოდება მომდევნო შეხვედრის მონაწილეებს.

ადგილობრივ ხელისუფლებას დაეკისრება ვალდებულება იმოქმედოს შესაბამისად; (2) საჭიროა ზოგიერთი გადაწყვეტილების დელეგირება უწყებათაშორისი კომისიის მიერ, რათა მათ მიიღონ სავალდებულო ხასიატი ადგილობრივი ხელისუფლებისთვის; (3) მთავრობამ უნდა გამოყოს შესაბამისი ფულადი რესურსები სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი მთავრობებისთვის კონკრეტული პროექტების განხორციელების მიზნით, რომელთა განხორციელებასაც მონიტორინგს გაუწევს უწყებათაშორისი კომისია, და (4) მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ადგილობრივ დონეზე გარკვეული აქტივობების განხორციელება ადგილობრივი მთავრობების მიერ.

- ყველა შეხვედრის თარიღი და მასთან დაკავშირებული დეტალები განთავსდება ვებგვერდზე ორი კვირით ადრე
- არასამთავრობო/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს (ასევე, სახალხო დამცველის აპარატს) მიეცემა შესაძლებლობა წერილობით მიმართონ შეხვედრის მონაწილეების, ასევე დასვან შეკითხვები და სიტყვიერად მიმართონ მონაწილეებს;
- როგორც ღია, ასევე დახურულ შეხვედრებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი ვებგვერდზე სტრატეგიული და პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებამდე. გარდა ამისა, უნდა გამოქვეყნდეს ყველა შეხვედრის ოქმებიც;
- ყველა მასალა და დოკუმენტი უნდა იქნეს ხელმისაწვდომი საჭირო ფორმატში;
- **არასამთავრობო და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები:** საჭიროა, რომ სამოქალაქო საზოგადოების მრავალფეროვან და წარმომადგენლობით ჯგუფებს მიეცეთ შესაძლებლობა დაესწრონ საჯარო შეხვედრებს. ნებისმიერ ამგვარ ორგანიზაციას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს შეხვედრებში შეზღუდვების, სელექციური მიდგომებისა და უპირატესობების გარეშე

ანგარიშვალდებულება: მექანიზმი ანგარიშვალდებულია საქართველოში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, პრემიერ მინისტრის, საკუთარი წევრების, საჯარო შეხვედრების მონაწილეების, მედიისა და არასამთავრობო და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წინაშე.

ინტერესთა კონფლიქტი: არ უნდა მოხდეს ინდივიდუალური საქმეებისა (გარდა საილუსტრაციო მიზნებისა) და არასამთავრობო/შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მიერ მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. ოქმებში უნდა აისახოს შეხვედრების მომხსენებლებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინტერესთა კონფლიქტი. კონკრეტული გრანტებისა და რესურსების განაწილება ხშირად იწვევს ინტერესთა კონფლიქტს, ამიტომ ამ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება არ უნდა მოხდეს მექანიზმის ფარგლებში გამართულ საჯარო სხდომებზე. დაუშვებელია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება არასამთავრობო/შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებისთვის თანხის გადახდის ხარჯზე. გარდა ამისა, ინტერესთა კონფლიქტის აღქმაზე გავლენა არ უნდა მოახდინოს მთავრობამ.

რჩევები და მოსაზრებები: მთავრობამ შეიძლება გამოითხოვოს რჩევები ან მოსაზრებები საჯარო მოხელეების, სახალხო დამცველის ან არასამთავრობო/შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებისგან კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით. ამგვარი რჩევები და მოსაზრებები განთავსდება ვებგვერდზე შეხვედრებთან დაკავშირებულ სხვა მასალებთან ერთად.

მექანიზმის ფარგლებში **ჩასატარებელი შეხვედრების პროცედურის წესები** უნდა თავიდანვე განისაზღვროს და გასაჯაროვდეს. წესებში იგულისხმება: გამჭვირვალეობის უზრუნველყოფა და ინტერესთა კონფლიქტის მართვასთან დაკავშირებული წესები, ასევე უშუალოდ შეხვედრების ჩატარების წესები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს შესაბამისი კონსულტაციები და მსჯელობა/კამათი ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული შეხვედრების ჩაშლა ან არაარსებითი მსჯელობა.

სამდივნო: საჭიროა ჩამოყალიბდეს შესაბამისი რესურსების მქონე პროფესიონალთა გუნდი, სავარაუდოდ ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს შემადგენლობიდან, რომელიც პირდაპირ იქნება დაკავშირებული პრემიერ მინისტრთან და სხვა საკვანძო სამინისტროებთან. სამდივნო მოამზადებს განრიგებს, დოკუმენტების სამუშაო ვერსიებს და ასევე უზრუნველყოფს სხვა საჭირო დოკუმენტების მომზადებას შეხვედრებამდე, მოამზადებს ოქმებს და მიიღებს ზომებს, რათა დაცული იქნეს გამჭვირვალეობასა და ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული წესები, ასევე შეასრულოს სხვა მოვალეობები მექანიზმის ეფექტიანად მუშაობის უზრუვნელსაყოფად. სამდივნო ასევე მოამზადებს სამუშაო ვერსიას პერიოდული ანგარიშისა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციისთვის და მიაწოდებს საგარეო საქმეთა სამინისტროს საბოლოო სახის მისაცემად და დანიშნულების ადგილზე წარსადგენად.

იურიდიული დარწმუნებულობა: შემოთავაზებული მექანიზმის ჩამოყალიბება, მანდატი და პროცედურები უნდა გაიწეროს და შეთანხმდეს მთავრობის მიერ პარლამენტთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან შესაბამისი კონსულტაციების საფუძველზე

მექანიზმის მეორე მოდელი [12]

ორივე ვარიანტი ქმნის ერთ მექანიზმს, რომელიც პასuხს აგებს როგორც კოორდინაციაზე, ასევე განხორციელების პროცესზე. ქვემოთ მოცემულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის მექანიზმის მეორე მოდელის სპეციფიკაცია:

მანდატი: პირველი მოდელის მიხედვით

საჯარო სექტორის პასუხისმგებლობა: პირველი მოდელის მიხედვით

ადგილობრივი პასუხისმგებლობა და მუნიციპალიტეტები: პირველი მოდელის მიხედვით

მექანიზმის შემადგენლობა:

წევრობა: მაღალი დონის საჯარო მოხელეები ყველა წამყვანი სამინისტროდან/სააგენტოდან, რომლებსაც აკისრიათ როლი კონვენციის განხორციელების პროცესში, როგორც ეს შემოთავაზებულია პირველი მოდელის მიხედვით, და გარდა ამისა:

> არასამთავრობო/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს ექნებათ დასწრების უფლება, თუმცა მათ არ შეეძლებათ კენჭისყრაში მონაწილეობისა და გადაწყვეტილებების მიღების უფლება. მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა და ნებიმისმიერ ამგვარ ორგანიზაციას შეზღუდვის, სელექციური მიდგომების და პრიორიტეტების მინიჭების გარეშე.

მოწვეული მონაწილეები: პირველი მოდელის მიხედვით

თავმჯდომარე: პირველი მოდელის მიხედვით

თანათავმჯდომარე: პირველი მოდელის მიხედვით

გადაწყვეტილებები: პირველი მოდელის მიხედვით

შეხვედრების სიხშირე: სულ მცირე ექვსჯერ წელიწადში.

---

[12] იგულისხმება ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინაციის მექანიზმი, რომელიც ამ დოკუმენტში 'მექანიზმად' მოიხსენიება. მეორე მოდელის მიხედვით კიდევ ერთი შესაძლო დასახელება შეიძლება იყოს **"შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის განხორციელების ძირითადი საკონტაქტო უწყება".**

- ერთ შეხვედრაზე განიხილება ნებისმიერი ის რეკომენდაცია, რომელსაც სახალხო დამცველის შეიმუშავებს მონიტორინგსა და საჩივრების განხილვების შედეგებზე დაყრდნობით (მუხლი 33.2)
- ყველა შეხვედრის თარიღი და მასთან დაკავშირებული დეტალები განთავსდება ვებგვერდზე ორი კვირით ადრე;
- არასამთავრობო/შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს (ასევე, სახალხო დამცველის აპარატს) მიეცემა შესაძლებლობა წერილობით მიმართონ შეხვედრის მონაწილეებს, ასევე დასვან შეკითხვები და სიტყვიერად მიმართონ მონაწილეებს;
- ასევე შესაძლებელია სამუშაო ჯგუფების შექმნა საჯარო მოხელეებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით, სადაც მონაწილეები იმსჯელებენ განხორციელების დეტალებზე, პრაქტიკულ და თემატურ საკითხებზე (თუმცა, არ განიხილება ინდივიდუალური საქმეები). სამუშაო ჯგუფებს შესაძლებელია დაევალოს ინფორმაციის მიწოდება ძირითადი შეხვედრების მონაწილეებისთვის. ასევე შესაძლებელია, რომ ამგვარმა ჯგუფება შეასრულონ ერთგვარი საკომუნიკაციო არხის ფუნქცია ადგილობრივ თემებთან მიმართებაში, მიიტანონ პრობლემები მთავრობამდე და დაიწყონ მათი მოგვარების პროცესი.

  საჭიროა შემუშავდეს სამუშაო ჯგუფის ფორმატები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს როგორც სამინისტროების, ასევე არასამთავრობო/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების შესაბამისი წარმომადგენლობა. ფორმატი უნდა იყოს საკონსულტაციო ხასიათის, თუმცა საჭიროა ყურადღების გამახვილება განხორციელებასა და მის კავშირზე მთლიან პროცესთან. სამუშაო ჯგუფის მიზნები დეტალურად უნდა განისაზღვროს წინასწარ.

გამჭვირვალეობა: პირველი მოდელის მიხედვით

ანგარიშვალდებულება: პირველი მოდელის მიხედვით

ინტერესთა კონფლიქტი: პირველი მოდელის მიხედვით

რჩევები და მოსაზრებები: პირველი მოდელის მიხედვით

შეხვედრების ჩატარების პროცედურების წესები: პირველი მოდელის მიხედვით

სამდივნო: პირველი მოდელის მიხედვით

საკანონმდებლო დარწმუნებულობა: პირველი მოდელის მიხედვით

პირველ და მეორე მოდელს შორის განსხვავებულობის შეჯამება

შემოთავაზებულია: მანდატი, მთავრობისა და ადგილობრივი მუცნიპალიტეტების პასუხისმგებლობა, მთავრობისა და საჯარო სექტორის წევრობა, დამატებითი მონაწილეობა, თავმჯდომარე და თანათავმჯდომარე, გამჭვირვალეობის პრინციპები, ანგარიშვალდებულება, ინტერესთა კონფლიქტი, რჩევა და მოსაზრება, წესები, სამდივნო, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობა და საკანონმდებლო დარწმუნებულობა საერთოა ორივე მოდელისთვის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ამ ორ მოდელს შორის არსებული განსხვავებების შეჯამება.

	პირველი ვარიანტი	**მეორე ვარიანტი**
გადაწყვეტილებები	მიიღება მთავრობის ოფიციალური პირების მიერ საჯარო და კერძო შეხვედრებისას, რომლებსაც წინ უძღვის ღია და გამჭვირვალე კონსულტაციები. იმ შემთხვევაში თუ ნებისმიერი სტრატეგიული და მაღალი დონის გადაწყვეტილება პოლიტიკის შესახებ, მიიღება საჯარო შეხვედრის მიღმა, მათზე ინფორმაცია მიეწოდება მომდევნო საჯარო შეხვედრის მონაწილეებს.	მიიღება მთავრობის ოფიციალური პირების მიერ შეხვედრებისას, რომლებისაც წინ უძღვის ღია და გამჭვირვალე კონსულტაციები. ყველა სტრატეგიული ან მაღალი დონის პოლიტიკის გადაწყვეტილება მიიღება შეხვედრებზე. იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდა გადაუდებელი ან სხვა მიზეზის გამო გადაწყვეტილების მიღება შეხვედრების მიღმა, ამის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება მოხდება შემდეგ შეხვედრაზე.
წევრობა	ფორმალურად, მხოლოდ მთავრობის წარმომადგენლები შეიძლება იყვნენ წევრები. არასამთავრობო/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები ვერ იქნებიან წევრები.	არასამთავრობო/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს ექნებათ დასწრების, თუმცა არა კენჭისყრის ან გადაწყვეტილების მიღების უფლება.
შეხვედრების სიხშირე	წელიწადში სამჯერ სჯარო ფორმატში. ასევე გაიმართება კერძო შეხვედრები, ხოლო ამ დროს მიღებული გადაწყვეტილებები და	წელიწადში ექვსჯერ

	პოლიტიკის ირგვლივ მიღწეული შეთანხმებები გაჟღერდება მომდევნო საჯარო შეხვედრაზე.	